ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახთა ფედერაცია მშვიდობისა
და გაერთიანებისთვის მთელს
მსოფლიოში

ცენტრი "ოჯახი და ქორწინება"

# მ ო ს ა წ ვ ე ვ ი

16-17 მაისი 1997 წ.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ კონფერენციაზე: "ზნეობრივი აღორძინება: ჭეშმარიტი ოჯახები და ჯანმრთელი საზოგადოება", რომელიც ჩატარდება ქ.თბილისში 1997 წ. 16 და 17 მაისს. კონფერენციის სპონსორებია "ქალთა ფედერაცია მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში" და "ოჯახთა ფედერაცია მშვიდობისა და გაერთიანებისთვის მთელს მსოფლიოში", ოჯახთა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა მიზანია ჯანმრთელი საზოგადოების საფუძვლად ზნეობრივი და ოჯახური ფასეულობების დამკვიდრება.

დღეისათვის, როდესაც ხდება მრავალი ტრადიციულად არსებული ფასეულობის გადასინჯვა და ისინი კარგავენ მნიშვნელობას, ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ მომავალ კონფერენციაზე და გვჯერა, რომ მას დადებითი ზეგავლენა ექნება ქვეყნის მომავალზე.

კონფერენციაზე მოწვეულნი არიან სახელმწიფო მოღვაწეები, განათლების სისტემის მუშაკები, საქართველოს ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ჯანდაცვის მუშაკები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვა დაინტერესებული პირები.

კონფერენცია ჩატარდება ჯანდაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრში (მისამართი: ივ.ჯავახიშვილი ქ. №51, II სართული).

გულწრფელად მოხარული ვიქნებით თქვენი დასწრებით ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე.

პატივისცემით

საორგანიზაციო კომიტეტი

ჩვენი ტელეფონებია:
22 52 00 - *ოლაფ და ელენა ბორკოვსკიები*

*29 03 34/37 - ქ-ნი ქეთევან რობაქიძე, ცენტრი "ოჯახი და ქორწინება"*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ რ ო გ რ ა მ ა :

*16 მაისი*

10:00 კონფერენციის გახსნა
მისალმებები
განათლების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტის ბ-ნ *ჯუნ ჰო სუკის* მისალმება

11:00 შესვენება

11:15 მოხსენება: *"ზნეობრივი და სულიერი განათლების აუცილებლობა"*

13:45 სადილი

14:30 მოხსენება: *"სექსუალური რევოლუციის შედეგები"*

16:00 შესვენება

16:15 მოხსენება: *"ჯანმრთელი საზოგადოების ეთიკური საფუძვლები"*

17:45 შესვენება

18:00 დისკუსია

*17 მაისი*

10:00 მოხსენება: *"ოჯახისა და ქორწინების ფასეულობა"*

11:00 შესვენება

11:15 მოხსენება: *"საერთაშორისო ფედერაციის "ოჯახთა მშვიდობისა და გაერთიანებისთვის მთელს მსოფლიოში" მიზნები და საქმიანობა და ოჯახთა ფესტივალის იდეა"*

კონფერენციის მონაწილეთა გამოხმაურება

13:00 სადილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ოჯახთა ფედერაცია
მშვიდობისა და გაერთიანებისთვის
მთელს მსოფლიოში"
დაარსდა 1996 წლის 1 აგვისტოს ქ.ვაშინგტონში
გამართულ მსოფლიო კონგრესზე.
საზეიმო გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა
100 ქვეყნის 600-ზე მეტი წარმომადგენელი.
ამჟამად ფედერაციას თავისი
განყოფილებები გახსნილი აქვს
მსოფლიოს 185 ქვეყანაში